ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები

(სამუშაო ვარიანტი)

ზოგიერთი თეორიული შენიშვნა:

კონკურსანტის შეფასების წარმოდგენილი ფორმა ეფუძნება პოზიტივისტურ მიდგომას, რომლის თანახმადაც მახასიათებლები (მათ შორის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია) გაზომვადია. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია მოხდეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ოპერაციონალიზაცია, განისაზღვროს მისი ინდიკატორები და თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით მოხდეს გაზომვის ერთეულების ინიცირება, რომელთა საფუძველზეც მოხდება კვალიფიკაციის მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში დათვლა/გამოხატვა სხვადასხვა სკალის მეშვეობით.

აკადემიური კვალიფიკაცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგი მახასიათებლების/პარამეტრების მიხედვით:

- ✓ განათლება შესაბამისი მიმართულებით, შესაბამის დარგში/ქვედარგში;
- ✓ დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი;
- ✓ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
- ✓ პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილება (საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარდა);
- ✓ სასწავლო–მეთოდური საქმიანობა;
- ✓ მონაწილეობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში;
- ✓ სასწავლო კურსების/სილაბუსების მომზადება;
- ✓ სამეცნიერო პუბლიკაციები (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია, თარგმანი, ლექსიკონი, ენციკლოპედია და ა.შ.);
- ✓ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- ✓ ციტირების ინდექსი;
- ✓ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- ✓ სტუდენტებთან თანამშრომლობა (საკვალიფიკაციო ნაშრომების, საკონფერენციო მოხსენებების ხელმძღვანელობა, სეზონური სკოლების ორგანიზება და ა.შ.);
- ✓ უცხოური ენების და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

და ა.შ.

თითოეულ ამ მახასიათებელს გააჩნია ინდიკატორი, რომელთა გამოხატვა მოხდება დათვლად მაჩვენებლებში *(მაგალითად, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ინდიკატორია მონაწილეობის სიხშირე, რომლისთვისაც გაზომვის ერთეული იქნება „ერთი მონაწილეობა“, ხოლო გაზომვისათვის გამოიყენება შეფარდებების სკალა).*

ზოგიერთი განმარტება შეფასების პროცედურასთან დაკავშირებით:

აპლიკანტის შეფასება ხდება 2 კომპონენტის ბაზაზე:

1. აპლიკანტის საკვალიფიკაციო მონაცემები
2. საჯარო პრეზენტაცია

თითოეული კომპონენტის მიხედვით, შეფასება წარმოებს 100 ქულიან სკალაზე. საჯარო პრეზენტაციაზე აპლიკანტები დაიშვებიან მაშინ, თუ საკვალიფიკაციო მონაცემების მიხედვით: ა) პროფესორის და ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის კანდიდატებმა მოაგროვეს მინიმუმ 61 ქულა, ხოლო ბ) ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის კანდიდატებმა - მინიმუმ 51 ქულა.

აპლიკანტი აკეთებს საჯარო პრეზენტაციას ამა თუ იმ თემის გარშემო იმ სასწავლო კურს(ებ)იდან, რომლის სილაბუსებიც წარმოადგენილი აქვს (სილაბუსს ირჩევს აპლიკანტი, ხოლო საპრეზენტაციო თემას - საკონკურსო კომისია). პრეზენტაციას კომისიის წევრებთან ერთად სპეციალური ანკეტით შეაფასებენ სტუდენტებიც.

საკვალიფიკაციო მონაცემების „წონა“ შეადგენს საერთო შეფასების 70%-ს, ხოლო პრეზენტაციის „წონა“ – 30%-ს (მაგალითად, თუ ვინმემ საკვალიფიკაციო მონაცემებში დააგროვა 80 ქულა, ხოლო პრეზენტაციში - 90 ქულა, მისი საბოლოო შედეგი იქნება: (70% X 80 =) 56 + (30% X 90 =) 27 = 83 ქულა.

პროფესორად არჩევის აუცილებელი პირობაა ორივე კომპონენტის (საკვალიფიკაციო მონაცემები და პრეზენტაცია) ბაზაზე მინიმუმ 71 ქულის დაგროვება; ასოცირებულ პროფესორად არჩევის აუცილებელი პირობაა ორივე კომპონენტის ბაზაზე მინიმუმ 65 ქულის დაგროვება; ასისტენტ პროფესორად არჩევის აუცილებელი პირობაა ორივე კომპონენტის ბაზაზე მინიმუმ 61 ქულის დაგროვება.

აპლიკანტის საკვალიფიკაციო მონაცემები	
კატეგორია პირველი: კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - მაქსიმუმ 9 ქულა	
	ქულების მაქსიმალური რაოდენობა
1. განათლება: • აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი განათლება - 2 ქულა; • არ აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი განათლება - 0 ქულა. (*შენიშვნა:* ვაკანსიის პროფილის შესაბამის განათლებაში იგულისხმება განათლების ნებისმიერი საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა/5 წლიანი განათლება, დოქტორანტურა/ასპირანტურა).	2
2. დოქტორის აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: • აქვს უშუალოდ ვაკანსიის პროფილის შესაბამისი დოქტორის ხარისხი - 4 ქულა; • აქვს მომიჯნავე დარგში მოპოვებული დოქტორის ხარისხი - 2 ქულა; • აქვს დოქტორის ხარისხი, რომელიც ვაკანსიის პროფილს არც უშუალოდ და არც ირიბად არ შეესაბამება - 1 ქულა; • არ აქვს დოქტორის ხარისხი - 0 ქულა. (*შენიშვნა:* მაგალითად, თუ ცხადდება სოციოლოგიის პროფესორის ვაკანსია, სოციოლოგიის დოქტორი (აკადემიური ან სამეცნიერო) დაიმსახურებს 4 ქულას, სხვა სოციალურ მეცნიერებებში დოქტორის ხარისხის მქონე - 2 ქულას, ხოლო სოციალური მეცნიერებების სფეროს გარეთ მოპოვებული ხარისხი - 1 ქულას).	4
3. საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება *(ეხება მხოლოდ პროფესორობის და ასოცირებული პროფესორობის ვაკანსიებს)*: • აქვს მინიმალურ მოთხოვნაზე (პროფესორისთვის 6 წელი, ასოცირებული პროფესორისთვის 3 წელი), სულ მცირე, ორჯერ მეტი გამოცდილება - 1 ქულა.	1
4. პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილება (აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარდა): • აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილება - 2 ქულა (*შენიშვნა:* იგულისხმება მუშაობა საჯარო/სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში; მაგალითად, თუ ვაკანსიის პროფილია სოციოლოგია, პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილება იქნება რომელიმე ორგანიზაციაში	2

სოციოლოგად მუშაობა; თუ ვაკანსია ფსიქოლოგიაშია - ფსიქოლოგად მუშაობა და ა.შ.).	
კატეგორია მეორე: საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - მაქსიმუმ 27 ქულა	
	ქულების მაქსიმალური რაოდენობა
1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება: • აქვს ვაკანსიის პროფილის შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება (საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი) გამოცდილება - 3 ქულა • აქვს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, რომელიც ვაკანსიის პროფილს არ შეესაბამება - 1 ქულა • არ აქვს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება - 0 ქულა	3
2. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა: • გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი (ერთი სახელმძღვანელო - 4 ქულა; ერთზე მეტი - 6 ქულა); • გამოცემული კრებულის (რომელიც მითითებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის) ერთ-ერთი თავის ავტორი (ერთი კრებული - 1 ქულა; ერთზე მეტი - 2 ქულა); • გამოცემული (მათ შორის, ელექტრონულ ფორმატში) ქრესტომათიის/რიდერის მომზადება/რედაქტირება (ერთი ქრესტომათია/რიდერი - 3 ქულა; ერთზე მეტი - 5 ქულა); • ნაბეჭდი ფორმით არსებული სასწავლო კურსის მასალების ან ელექტრონული სალექციო კურსის ავტორი/თანაავტორი (ერთი სალექციო კურსი - 3 ქულა; ერთზე მეტი - 5 ქულა).	18
3. მონაწილეობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში: • მონაწილეობა აქვს მიღებული ერთზე მეტ პროფესიული განვითარების ღონისძიებაში - 2 ქულა; • მონაწილეობა აქვს მიღებული ერთზე მეტ პროფესიული განვითარების ღონისძიებაში - 1 ქულა; • არ აქვს მონაწილეობა მიღებული - 0 ქულა.	2
4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს: • დასახელებული სასწავლო კურსები/სილაბუსები პირდაპირ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს (ერთი სილაბუსი - 2 ქულა; ერთზე მეტი სილაბუსი - 4 ქულა; • დასახელებული სასწავლო კურსები/სილაბუსები ირიბად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს - 1 ქულა; • დასახელებული სასწავლო კურსები არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს - 0 ქულა.	4

კატეგორია მესამე: სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა - მაქსიმუმ 58 ქულა	
	ქულების მაქსიმალური რაოდენობა
1. პუბლიკაციები „იმპაქტ ფაქტორის“ (მაღალი გავლენის მქონე) მქონე ჟურნალებში (ელექტრონული ჟურნალების ჩათვლით): • აქვს ერთი პუბლიკაცია - 4 ქულა; • აქვს ერთზე მეტი პუბლიკაცია - 7 ქულა; • არ აქვს პუბლიკაცია - 0 ქულა.	7
2. პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად (peer-reviewed) და იმავდროულად საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში/საერთაშორისო კრებულებში (ელექტრონული ჟურნალების/კრებულების ჩათვლით): • აქვს ერთი პუბლიკაცია - 3 ქულა; • აქვს ერთზე მეტი პუბლიკაცია - 5 ქულა; • არ აქვს პუბლიკაცია - 0 ქულა.	5
3. პუბლიკაციები ადგილობრივ ჟურნალებში/ადგილობრივ სამეცნიერო (მათ შორის ელექტრონულ) კრებულებში (საქართველოში უცხო ენაზე გამოცემული კრებულების ჩათვლით): • აქვს ერთი პუბლიკაცია - 2 ქულა; • აქვს ერთზე მეტი პუბლიკაცია - 4 ქულა; • არ აქვს პუბლიკაცია - 0 ქულა.	4
4. მონოგრაფია: • საქართველოში გამოცემული ერთი მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი - 3 ქულა; • საქართველოში გამოცემული ერთზე მეტი მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი - 5 ქულა; • უცხოეთში გამოცემული ერთი მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი - 4 ქულა; • უცხოეთში გამოცემული ერთზე მეტი მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი - 6 ქულა; • არ აქვს - 0 ქულა	11
5. ციტირების ინდექსი: • აქვს 50-ზე მეტი ციტირება - 3 ქულა; • აქვს 25-49 ციტირება – 2 ქულა; • აქვს 24-ის ჩათვლით - 1 ქულა;	3

• არ აქვს - 0 ქულა.	
6. კონკურსანტის მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში): • მოხსენება ადგილობრივ კონფერენციაზე (ერთი მოხსენება - 1 ქულა; ერთზე მეტი მოხსენება - 2 ქულა); • მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოში (ერთი მოხსენება - 2 ქულა; ერთზე მეტი მოხსენება - 4 ქულა); • მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს გარეთ (ერთი მოხსენება - 3 ქულა; ერთზე მეტი მოხსენება - 5 ქულა).	11
7. საგრანტო/სახელშეკრულებო კვლევით პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში): • ადგილობრივ საგრანტო/სახელშეკრულებო კვლევით პროექტებში მონაწილეობა ლიდერის/წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე (ერთ პროექტში მონაწილეობა - 1 ქულა; ერთზე მეტ პროექტში - 2 ქულა); • საერთაშორისო საგრანტო/სახელშეკრულებო კვლევით პროექტებში (იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით, რომელთაც საქართველოში აქვთ ფილიალები) მონაწილეობა ლიდერის/წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე (ერთ პროექტში მონაწილეობა - 2 ქულა; ერთზე მეტ პროექტში - 3 ქულა); • ადგილობრივ საგრანტო/სახელშეკრულებო კვლევით პროექტებში მონაწილეობა რიგითი/დამხმარე სპეციალისტის პოზიციაზე (ერთ პროექტში მონაწილეობა - 1 ქულა; ერთზე მეტ პროექტში - 2 ქულა); • საერთაშორისო საგრანტო/სახელშეკრულებო კვლევით პროექტებში (იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით, რომელთაც საქართველოში აქვთ ფილიალები) მონაწილეობა რიგითი/დამხმარე სპეციალისტის პოზიციაზე (ერთ პროექტში მონაწილეობა - 1 ქულა; ერთზე მეტ პროექტში 2 ქულა).	9
8. აკადემიური თანამშრომლობა უცხოეთის წამყვან[1] საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან (იგულისხმება: სწავლება და/ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სეზონურ სკოლებში და ა.შ.): • აქვს თანამშრომლობის ერთი შემთხვევა - 3 ქულა; • აქვს თანამშრომლობის ერთზე მეტი შემთხვევა - 5 ქულა; • არ უთანამშრომლია - 0 ქულა.	5
9. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი: • ადეკვატურია - 3 ქულა • უფრო ადეკვატურია, ვიდრე არა - 2 ქულა	3

[1] იგულისხმება ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც შედის აღიარებულ საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში (Tomson, Times, Shanghai) (გამონაკლისი შესაძლებელია ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის შემთხვევაში).

• უფრო არაადეკვატურია, ვიდრე კი - 1 ქულა • არაადეკვატურია - 0 ქულა	
კატეგორია მეოთხე: სხვა სახის აქტივობა - მაქსიმუმ 6 ქულა	
• სტუდენტებთან მუშაობა (საკვალიფიკაციო ნაშრომების, საკონფერენციო მოხსენებების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო წრეების გაძღოლა და ა.შ.) – 3 ქულა • უცხოური ენების და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა - 3 ქულა	6
საკვალიფიკაციო მონაცემების მიხედვით დაგროვებული ქულების ჯამი	**100**

საჯარო პრეზენტაცია	
	ქულების მაქსიმალური რაოდენობა
პრეზენტაცია: მაქსიმუმ 100 ქულა	
მასალის ფლობა - 40 ქულა	**40**
პრეზენტაციის უნარ-ჩვევები - 30 ქულა	**30**
შეკითხვებზე პასუხი - 30 ქულა	**30**
პრეზენტაციის მიხედვით დაგროვებული ქულების ჯამი	**100**